ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 20 აგვისტოს სხდომის

ო ქ მ ი № 18

დ. ხარაგაული 20 აგვისტო 2018 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ვარლამ ჭიპაშვილი- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე - საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე- ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

გივი თავზარაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „თვითმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე.

მოწვეულნი:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ჯაბა ბერაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

თეა ბერიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

საკრებულოს აპარატი:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ბიუროს სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ეკატერინე შველიძე, ზურაბ ხაჩიძე, ქეთევან ზუმბაძე და თეიმურაზ ფცქიალაძე.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამარ მაღრაძე ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

მანანა ბაბლიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შემდეგი ნუსხა

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 03 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: გივი თხელიძ

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის N19ა -ში მდებარე შენობის პირველ სართულზე 220,05 კვმ. ფართობისა და არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების 400 კვმ. მიწის ფართობის ზრდასრულთა განათლების ცენტრის გასახსნელად, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის, საქართველოს ოფისზე (DVV International) პირდაპირი განკარგვით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმა), 10 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4. ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მუშაობის შესახებ მუნიციპალიტეტის ვებგვერდის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.

მომხს: თეა ბერიძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხარაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისის თავმჯდომარის გივი თხელიძის ინფორმაცია საკითხზე - ზემოაღნიშნული კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

გივი თავზარაშვილმა რომელმაც განაცხადა, რომ მის მიერ გაკეთებული გაანგარიშებით 7-თვის განმავლობაში ა.ა.პ.ი სათნოების სახლში ბენეფიციართა კვებითი მომსახურებისათვის დახარჯული თანხები უნდა ეყოს არა 73 არამედ 157 ბენეფიციარს.

მალხაზ ფხალაძემ რომელმაც განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა კომისიას კიდევ ერთხელ მოესმინა ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურიდან იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაა აზიურ ფაროსანებთან ბრძოლის კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2018 წლის 03 სექტემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენწისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე-12

წინააღმდეგი-0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2018 წლის 03 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგსში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე-ზემოაღნიშნული კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.(თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა და კითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2018 წლის 03 სექტემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:
მომხრე-12
წინააღმდეგი-0
ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2018 წლის 03 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში, სოლომონ მეფის N19ა -ში მდებარე შენობის პირველ სართულზე 220,05 კვმ. ფართობისა და არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების 400 კვმ. მიწის ფართობის ზრდასრულთა განათლების ცენტრის გასახსნელად, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის, საქართველოს ოფისზე (DVV International) პირდაპირი განკარგვით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმა), 10 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს:
დავით კიკნაძემ რომელმაც განაცხადა, რომ მოცემული საკითხი განიხილეს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის, იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიისა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე და მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული უძრავი ქონების გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხი განეხილათ დღესვე და ამ მიზნით მოეწვიათ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.მოწვეულ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2018 წლის 20 აგვისტოს და სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნეს ზემოაღნიშნული საკითხი.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის თეა ბერიძის ინფორმაცია-საკითხზე ზემოაღნიშნული განყოფილების მუშაობის შესახებ მუნიციპალიტეტის ვებგვერდის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.(თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვარლამ ჭიპაშვილმა რომელმაც წაიკითხა ამონარიდი მისი ფეისბუქის პირადი გვერდიდან, რომელიც შეეხებოდა სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის, საქართველოს ოფისზე მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობით უფლებით გადაცემის საკითხს და შეკითხვით მიმართა თეა ბერიძეს თუ რატომ არ გამოაქვეყნა ვებგვერდზე მის მიერ გაკეთებული აღნიშნული განცხადება, რის შესახებაც თ. ბერიძემ უპასუხა,რომ ეს იყო მისი პირადი განცხადება და მას ვებგვერდზე ვერ გამოაქვეყნებდა. ვ. ჭიპაშვილმა ასევე განაცხადა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა ნიშნავს მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირს, რასაც ეს სამსახური ვერ უზრუნველყოფს. მისივე განცხადებით ვებგვერდი საკრებულოსთან ურთიერთობაში გამოდის მხარედ და ხელმძღვანელობს მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე.

ინგა მაღრაძემ რომელმაც განაცხადა, რომ ვებგვერდზე უნდა განთავსდეს ისეთი ინფორმაციები, რომლებიც მოსახლეობის ინტერესებში შედის. მისივე განცხადებით ვებგვერდის მუშაობაში არის ხარვეზები რაც იქ დასაქმებულ პირთა დაბალი კვალიფიკაციის ბრალია.

პაატა გოგოლაძემ რომელმაც განაცხადა, რომ თეა ბერიძის დამოკიდებულება როგორც საკრებულოს წევრთა მიმართ, ასევე საკრებულოს საქმიანობის ვებგვერდზე ასახვასთან დაკავშირებით არ არის მისაღები და მოუწოდა მეტი ყურადღება გამოიჩინოს საკრებულოს საქმიანობის მიმართ.

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა წინადადება, აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღებისა და 2018 წლის 03 სექტემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ინფორმაცია მიღებული იქნეს ცნობად და შეტანილი იქნეს საკრებულოს 2018 წლის 03 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს საკრებულოს 2018 წლის 03 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**